საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 897

თბილისი „13“ 10 2017 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიის აკადემიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 05 სექტემბრის N777 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 13 ოქტომბრის N1258798 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიის აკადემიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 05 სექტემბრის N777 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის დამატებით ვადად განისაზღვროს 2017 წლის 16 ოქტომბრიდან 2017 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით არსებული პერიოდი.“;

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ქეთევან ნატრიაშვილი
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი